# ხვალ სპორტის სასახლეში დაიწყება თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

25 იანვარი, ხუთშაბათი, 1990 წ.
№ 17 (10 186) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



# თბილისის ტურნირის ლაურეატები

**თბილისის** საერთაშორისო ტურნირის ისტორია 1962 წლიდან იწყება. 1969 წლამდე პირველობა რვა წონით კატეგორიაში თამაშდებოდა, მერე კი ათში. ტურნირის პირველი ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით იყვნენ: ზაურ შეყრილაძე (საქართველო), აიდინ იბრაჰიმოვი (აზერბაიჯანი), ვლადიმერ რუბაშვილი, ზარბეგ ბერიაშვილი, გურამ საღარაძე, შოთა ლომიძე (ყველა — საქართველო), აბელსენტ აიხანოვი (ალმა-ათა) და ალექსანდრე ივანიცკი (მოსკოვი).

მოგვიანებით ამ შეჯიბრებამ დიდი პოპულარობა მოიპოვა როგორც ჩვენში, ისე უცხოეთის მოჭიდავეთა შორის. ბევრ ათლეტს დიდი სპორტის საგზური სწორედ ამ ტურნირმა მისცა. ამიტომაც თბილისის საერთაშორისო ტურნირის პრიზიორთა შორის ხშირად შეხვდებით ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებს.

გთავაზობთ ტურნირში გამარჯვებული ყველა მოჭიდავის სიას წონითი კატეგორიების მიხედვით. ამ სიით შეგიძლიათ დაადგინოთ ვინ რამდენჯერ გაიმარჯვა ასპარეზობაში:

**48 კგ.** რ. დმიტრიევი (სსრ კავშირი) — 4-ჯერ, ს. კორნილაევი (სსრ კავშირი) — 3, რ. გაჯიევი (სსრ კავშირი) — 2, ლი ზე სიკი (კსდრ) — 2, ა. ბელოგლაზოვი, ა. სანოიანი, ს. კარამჩაკოვი, ა. დორჯუ, გ. მეჯლუმიანი (ყველა — სსრ კავშირი), ო. ველიკოვი, ხ. ისაევი (ორივე — ბულგარეთი), კ. სიგორუხი (იაპონია), მ. ბაზმოვარი (ირანი). ლი ხოკ სონი (კსდრ) — 1-1,

**52 კგ.** ს. ბელოგლაზოვი (სსრ კავშირი) — 5, ა. ივანოვი (სსრ კავშირი) — 4, ვ. ალექსეევი და ვ. თოგუზოვი (ორივე — სსრ კავშირი) — 3-3, ტ. ფაშაევი, ი. შუგაევი (ორივე — სსრ კავშირი), ზ. ტატუაშვილი (საქართველო), ა. ხეიდარი (ირანი) — 2-2, ზ. შეყრილაძე, ტ. ალიბეგაშვილი, თ. მიქელაძე (სამივე — საქართველო), რ. მამედოვი, მ. დაიბოვი (ორივე — სსრ კავშირი), ა. ხოდაბანდი, ზ. პურასტოლი გ. ნამატოლი, მ. გორბანი (ყველა — ირანი), დ. მილზი, დ. გონსალესი (ორივე — აშშ) და ვ. იორდანოვი (ბულგარეთი) — 1-1.



**57 კგ.** რ. კარაევი (სსრ კავშირი) — 5, ბ. იბრაჰიმოვი (სსრ კავშირი) — 3, გ. გოგიჩაიშვილი (საქართველო), ა. იბრაჰიმოვი, პ. მალიანი, ვ. იუმინი (სამივე — სსრ კავშირი) — 2-2, ი. ლეგაშვილი, რ. დობორჯგინიძე (ორივე — საქართველო), ნ. მუშეღიანი, ა. ალიევი, ი. კულეშოვი, ა. აბდურამანოვი, გ. ბალდასაროვი (ყველა — სსრ კავშირი) დ. აბდულბაგერი (ირანი), დ. ბემი (აშშ), კიმ იონ სიკი (კსდრ) — 1-1.

**62 კგ.** ნ. ხოხაშვილი (საქართველო) — 4, ს. ქარსაულიძე, გ. ყვარელაშვილი (ორივე — საქართველო), ზ. აბდულბეკოვი, ბ. ბაზაევი, ს. ხატაგოვი, ზ. ისაევი (ყველა — სსრ კავშირი) — 2-2, ვ. რუბაშვილი, გ. მაკოევი (ორივე — საქართველო), ე. თედეევი, რ. პლიევი, ვ. გაჯიევი, ს. აბსაიდოვი, ა. ფარკუშინი. ს. სარქისოვი (ყველა — სსრ კავშირი), ე. დინევი, ი. ტოდოროვი (ორივე — ბულგარეთი) — 1-1.

**68 კგ.** ზ. ბერიაშვილი (საქართველო) — 5, გ. მაკასარაშვილი (საქართველო) — 4, ა. მაჰომედოვი (სსრ კავშირი) — 3, ი. გაიდარბეკოვი, ნ. პეტრენკო (ორივე — სსრ კავშირი) — 2-2, დ. გიგაური (საქართველო), ვ. კაზაკოვი, გ. იბრაჰიმოვი, პ. პინიგინი, მ. ხარაჩურა, ა. ფაძაევი, მ. აბუშევი და ა. მუტალიბოვი (ყველა — სსრ კავშირი), ა. მოვახედი, კ. გოლიამი (ორივე — ირანი), დ. გეიბლი, ე. რაი (ორივე — აშშ), დ. მარინოვი (ბულგარეთი), დ. სრეტერი (მონგოლეთი) — 1-1.

**74 კგ.** გ. საღარაძე (საქართველო) — 3, ტ. როსტომაშვილი (საქართველო), ი. შახმურადოვი, მ. აბდულ-მუსლიმოვი, ტ. მაჰომადოვი (სამივე — სსრ კავშირი) — 2-2, თ. ასლამაზიშვილი, რ. მარსაგიშვილი (ორივე — საქართველო), ნ. ქურული, რ. აშურალიევი, ვ. არაცილოვი, ვ. ძუგუტოვი, ა. ვარაევი, გ. ხაზამოვი (ყველა — სსრ კავშირი), უ. შალასი, დ. შულცი, კ. მონდეი (სამივე — აშშ) — 1-1.

**82 კგ.** ლ. თედიაშვილი (საქართველო) — 5, ვ. მოდოსიანი (სსრ კავშირი) — 3, ა. ილურიძე (საქართველო), ხ. ზანგიევი, ი. ვორო-

იხ. გვ. 2-3 გვ.

## კალენდარი

**გთავაზობთ საერთაშორისო ტურნირის განრიგს:**

**26 იანვარი. დასაწყისი 11 და 18 საათზე.**

**27 იანვარი. დასაწყისი 11 და 18 საათზე.**

**28 იანვარი. დასაწყისი 11 და 17 საათზე.**

## თურქეთის ათლეტები გორში

**თბილისის** საერთაშორისო ტურნირში უცხოეთის სხვა გუნდებთან ერთად იასპარეზებს თურქეთის ეროვნული ნაკრებიც. ცნობილი გახდა, რომ შეჯიბრების დამთავრების შემდეგ სტუმრებმა ადგილობრივ მოჭიდავეებთან ამხანაგური შეხვედრის გამართვის სურვილი გამოთქვეს.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ, 29 იანვარს,. მოეწყობა ეს შეხვედრა. გორის ცირკის შენობაში ერთმანეთის პირისპირ წარსდგებიან თურქეთისა და საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავენი. ეს საინტერესო ორთაბრძოლა დაიწყება 18 საათზე.

**განვიხილავთ რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების კონცეფციის პროექტს**

## სპორტსკოლები — სპორტკომიტეტების განკარგულებაში

**ვფიქრობთ,** „რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების კონცეფციის პროექტი" სრულად მოიცავს საკითხთა იმ კომპლექსს, რომელთა გადაჭრა უახლოეს წლებში გარკვეულწილად შეუწყობს ხელს ამ სფეროში არსებული მდგომარეობის მკვეთრ გაუმჯობესებას, მაგრამ მინდა ზოგიერთ საკითხზე გაგიზიაროთ ჩემი მოსაზრება.

ჯერ კიდევ 1984 წლის 28 ნოემბრის „ლელოში" გამოვთქვი მოსაზრება, იმის თაობაზე, რომ ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლები რესპუბლიკის სპორტკომიტეტის დაქვემდებარებაში გადასულიყვნენ. მართალია, განათლების სამინისტროში არსებობს შესაბამისი განყოფილება. ცოდნა და გამოცდილება არ აკლიათ აღნიშნული განყოფილების მუშაკებს, მაგრამ ყველაფრის ცენტრიდან ხელმძღვანელობა, მოგეხსენებათ, მაინც ძნელია და მრავალ სირთულესთანაა დაკავშირებული.

საქმეს აფერხებს ისიც, რომ ადგილებზე განათლების განყოფილებათა გამგეების დიდი რაოდენობა ნაკლებად ერკვევა, ან საერთოდ ვერ ერკვევა სპორტული სკოლების მუშაობის სპეციფიკაში, რაც კიდევ ერთ დამატებით წინააღმდეგობას გვიქმნის მუშაობაში.

ჩემი აზრით, განათლების სამინისტრო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მხოლოდ ფიზკულტურას, როგორც საგანს, უნდა კურირებდეს, სპორტული სკოლები კი, როგორც უკვე აღვნიშნე, სპორტკომიტეტებს უნდა დაექვემდებაროს. ეს უფრო პრაქტიკული და სამართლიანი იქნება. აქედან გამომდინარე, კონცეფციის პროექტის ნაწილში სადაც საუბარია ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებზე, მიზანშეწონილად მიმაჩნია დაემატოს მე-5 მუხლი შემდეგი რედაქციით: განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლები თანდათან გადავიდნენ რესპუბლიკის სპორტსახკომის დაქვემდებარებაში.

**ზაალ მაისურაძე,**
**თელავის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.**

## რას მიქვია ნლმბი, გ-ნო პროფესორო

**ჩვენი** რესპუბლიკის პროფესორ-მასწავლებლები და უმაღლესი სასწავლებლის თანამშრომლები წლებით დამძიმებულ მხრებს „ჩამოიბრტყავენ" და სულ სხვა, სპორ[...] სმენთა ამპლუაში გამოვლენ. დღ[...] იწყება მათი ტრადიციული სპარ[...] კიადა, რომელიც სპორტის ხუთ ს[...] ხეობაში ჩაივლის, პირველ დღეს [...] ქართველოს ტექნიკური უნივე[...] ტეტის აუზში გამოვლენ მოცურ[...] ები, 31 იანვრამდე გაგრძელ[...] ტურნირი მინიფეხბურთში თბილ[...] „ბურევესტნიკის" სპორტულ კ[...] ლექსში, 28 იანვარს ტექნიკური უ[...] ვერსიტეტის დარბაზში შეჯიბრ[...] ში ჩაებმებიან ფრენბურთელ[...] ამავე დღეს პროფკავშირთა მძლ[...] ოსნობის სასახლეში დაიწყება მ[...] ჭადრაკეთა ტურნირი, აქვე 2 თებერვალს სარბიელზე გამოვლენ მძლეოსნები.

## ნორჩი თბილისელი მეორე იყო

**უფაში** გაიმართა „შრომითი რეზერვების" საკავშირო პირველობა 1972-1975 წლებში დაბადებულ მოზარდთა შორის. ტურნირში რვა თბილისელი ჩოგბურთელი გამოდიოდა, რომლებსაც სპორტის ოსტატი ლამარა მგალობლიშვილი ავარჯიშებს.

კარგად იასპარეზა 15 წლის მეორეთანრიგოსანმა გურამ კოსტავამ, რომელიც პირად ჩათვლაში მეორე იყო. ამით მან პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა და უფლება მოიპოვა იასპარეზოს ქვეყნის პირველობაზე (იურმალა, მარტი). ჩვენს ჩოგბურთელს გაუსწრო მხოლოდ სამი წლით უფროსმა უფელმა ოსტატობის კანდიდატმა დიმიტრი კოროტკიხმა, მესამე ადგილზეც უფელი სპორტსმენი გავიდა — დენის ლიუტროვი.

**მიხეილ ვიზნანსკი.**

# ხვალ სპორტის სასახლეში დაიწყება თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

## ყველაფერი ბოლო ტურნირის შესახებ

**თბილისის** ბოლო საერთაშორისო ტურნირის (ჩატარდა 1989 წლის 27-29 იანვარს) საპრიზო ადგილები ექვსი გუნდის წარმომადგენლებმა გაინაწილეს. საქართველოს მოჭიდავეებმა ორი ოქროს და სამი ვერცხლის მედალი მიიღეს, ეს არც ისე მაღალი შედეგია, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ამ ასპარეზობაში სხვადასხვა მიზეზით მონაწილეობა არ მიიღეს უდავო ფავორიტებმა — დავით გობეჯიშვილმა და ლერი ხაბელოვმა.

სამაგიეროდ რესპუბლიკის ახალგაზრდა მოჭიდავეებმა თავი დაგვამახსოვრეს ლამაზი, გაბედული და შინაარსიანი ბრძოლებით. ეს პირველ რიგში ითქმის გოჩა მაკოევზე, ეროსი ელოშვილზე, დავით ბელთაძეზე, გიორგი ხინჩიგაშვილზე, აკაკი გაბედავაზე, რამაზ ბუზარიაშვილზე, მერაბ ვალიევსა და სხვებზე.

1989 წლის თბილისის საერთაშორისო ტურნირის პრიზიორები წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ:

**48 კგ.** 1. ლი ხოკ სონი (კსდრ), 2. ნორაირ გევორქიანი (სსრკ), 3. ლუფსინიშ სერგელენბატორი (მონგოლეთი).

**52 კგ.** 1. ვლადიმერ თოგუზოვი (სსრკ), 2. ზურაბ ტატუაშვილი (საქართველო), 3. იაკობ ჯუიბარი (მონგოლეთი).

**57 კგ.** 1. კიმ იონ სიკი (კსდრ), 2. ეგია მუსოიანი (საქართველო), 3. კამალუტდინ აბდულდაუდოვი (სსრკ).

**62 კგ.** 1. გოჩა მაკოევი (საქართველო), 2. ხაზარ ისაევი (სსრკ), 3. ავიხმედ ტაივანი (მონგოლეთი).

**68 კგ.** 1. არტურ მუტალიბოვი (სსრკ). 2. გოჩა გაბოძე (საქართველო), 3. ჯონ გიურა (აშშ).

**74 კგ.** 1. გამზათ ხაზამოვი (სსრკ), 2. ეროსი ელოშვილი (საქართველო), 3. ლადაი ერხბაიარი (მონგოლეთი).

**82 კგ.** 1. მელვინ დუგლასი (აშშ), 2. იური ვოროზიოვი (სსრ კავშირი), 3. ავთანდილ გოგოლიშვილი (საქართველო).

**90 კგ.** 1. ადგილი არ გათამაშდა, 2. ჯიმ შერი (აშშ), 3. მამუკა რაზმაძე (საქართველო).

**100 კგ.** 1. სანასარ ოჰანესიანი (სსრკ), 2. ზაზა ტყეშელაშვილი (საქართველო), 3. კირტ ტროსტი (აშშ).

**130 კგ.** 1. ზაზა თურმანიძე (საქართველო), 2. ანდრეას შრიოდერი (გდრ), 3. ოლეგ ნანიევი (სსრკ).

საპრიზო ადგილები ტურნირში მონაწილე ქვეყნებს შორის ასე განაწილდა:

| | | | |
|---|---|---|---|
| **სსრ კავშირი** | 4 | 3 | 2 |
| **საქართველო** | 2 | 5 | 2 |
| **კსდრ** | 2 | — | — |
| **აშშ** | 1 | 1 | 2 |
| **გდრ** | — | 1 | — |
| **მონგოლეთი** | — | — | 4 |



## თბილისის ტურნირის ლაურეატები

(დასასრული)

ბიოვი, ო. ალექსეევი (სამივე — სსრ კავშირი) — 2-2, ლ. გადაიჩუკი, ვ. პოტაპენკო, ვ. ნოვოჟილოვი, ო. კალოევი, ლ. ქაბრაილოვი, ა. ტამბოვცევი (ყველა — სსრ კავშირი), მ. დუგლასი (აშშ) — 1-1.

**90 კგ.** ა. ცხოვრებოვი (საქართველო) — 5, შ. ლომიძე (საქართველო), ს. ოჰანესიანი (სსრ კავშირი) — 4-4, შ. პაპაშვილი (საქართველო), ა. პროკოპჩუკი, მ. ხადარცევი (ორივე — სსრ კავშირი) — 2-2, ვ. მარშანია (საქართველო), გ. სტრახოვი, ვ. ბატნია, ვ. ევლოევი, პ. ნანიევი, რ. ტიბილოვი, შ. აბდურაჰმანოვი (ყველა — სსრ კავშირი), ბ. ბეტერსონი, რ. ჰელიკსონი (ორივე — აშშ) — 1-1.

**100 კგ.** ლ. ხაბელოვი (საქართველო) — 4, კ. ლიივა, ს. ხასიმიკოვი, მ. მაჰომედოვი (სამივე — სსრ კავშირი) — 3-3, ა. აჩხანოვი, ვ. გულიუტკინი, ი. იარიგინი, ი. მატე (ყველა — სსრ კავშირი) — 2-2, ზ. ნიკურაძე, გ. ყურაშვილი (ორივე — საქართველო), ვ. კაკოშკინი (სსრ კავშირი), ა. აიკი (თურქეთი) — 1-1.

**130 კგ.** ბ. ბიგაევი (სსრ კავშირი) — 6, ნ. მოდებაძე (საქართველო) — 5, დ. გობეჯიშვილი (საქართველო), ა. ივანიცკი, ა. მედვედი, ს. ანდიევი (სამივე — სსრ კავშირი) — 2-2, ე. გოცირიძე, ზ. თურმანიძე (ორივე — საქართველო), ვ. საუნინი, ვ. პარშუკოვი, ვ. ზანგიევი, ა. ხადარცევი (ყველა — სსრ კავშირი), ვ. კოსტოვი (ბულგარეთი), ბ. ბაუმჰარტნერი (აშშ) — 1-1.

სულ თბილისის საერთაშორისო ტურნირებში ოქროს მედლები მიღებული აქვთ რვა ქვეყნის წარმომადგენლებს. მათგან ყველაზე დიდ წარმატებას ცხადია, საბჭოთა მოჭიდავეებმა მიაღწიეს, რომელთა წილად მოდის 227 პირველი ადგილი.

ვინაიდან თბილისის საერთაშორისო ტურნირში საქართველოს, როგორც ასპარეზობის მასპინძელს ცალკე გუნდი გამოჰყავს, ოქროს მედლები მონაწილეთა შორის ასეა განაწილებული:

| | |
|---|---|
| **სსრ კავშირი** | 158 |
| **საქართველო** | 69 |
| **აშშ** | 12 |
| **ირანი** | 10 |
| **ბულგარეთი** | 7 |
| **კსდრ** | 3 |
| **იაპონია** | 1 |
| **თურქეთი** | 1 |
| **მონგოლეთი** | 1 |

## მოკლედ ჩემპიონებზე

**48 კგ.** ლი ხოკ სონი (კსდრ). 23 წლის, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონი. მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი. თბილისის საერთაშორისო ტურნირში პირველად გაიმარჯვა.

**52 კგ.** ვლადიმერ თოგუზოვი (სსრ კავშირი, ორჯონიკიძე), სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი. მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი. ამდენჯერვე აქვს მოგებული თბილისის საერთაშორისო ტურნირი.

**57 კგ.** კიმ იონგ სიკი (კსდრ). 22 წლის. კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონი. თბილისის საერთაშორისო ტურნირში პირველად გაიმარჯვა.

**62 კგ.** გოჩა მაკოევი (საქართველო). 20 წლის. სსრ კავშირის ჩემპიონი იუნიორთა შორის. თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი პირველად გახდა.

**68 კგ.** არტურ მუტალიბოვი (სსრ კავშირი, მახაჩყალა). 23 წლის. სსრ კავშირის 1988 წ. ჩემპიონი. თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი პირველად გახდა.

**74 კგ.** გამზათ ხაზამოვი (სსრ კავშირი, მახაჩყალა). 27 წლის. 1988 წლის საკავშირო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი. თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი პირველად გახდა.

**82 კგ.** მელვინ დუგლასი (აშშ). 27 წლის. აშშ-ს ჩემპიონატის მეორე პრიზიორი, მსოფლიოს 1984 წლის ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა. თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი პირველად გახდა

**90 კგ.** პირველი ადგილი ამ წონაში არ გათამაშდა.

**100 კგ.** სანასარ ოჰანესიანი (სსრ კავშირი. მოსკოვი). 29 წლის. ევროპისა და მსოფლიოს ექსჩემპიონი. თბილისის საერთაშორისო ტურნირის ოთხგზის ჩემპიონი.

**130 კგ.** ზაზა თურმანიძე (საქართველო). 24 წლის. ევროპის ექსჩემპიონი. საკავშირო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი. თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი პირველად გახდა.



## 48 პრიზიორი

საქართველოს მოჭიდავეებს მსოფლიოს ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ თამაშებში 48 სხვადასხვა ღირსების მედალი აქვთ მოპოვებული. აი, როგორაა განაწილებული ეს ჯილდოები წლების მიხედვით

### ოლიმპიური თამაშები

**ოქრო**

დავით ციმაკურიძე — 1952
არსენ მეკოკიშვილი — 1952
მირიან ცალქალამანიძე — 1956
ლევან თედიაშვილი — 1972
ლევან თედიაშვილი — 1976
დავით გობეჯიშვილი — 1988

**ვერცხლი**

გურამ საღარაძე — 1960
გურამ საღარაძე — 1964
შოთა ლომიძე — 1968
ლერი ხაბელოვი — 1988

**ბრინჯაო**

ვახტანგ ბალავაძე — 1956
გიორგი სხირტლაძე — 1956
ვლადიმერ რუბაშვილი — 1960
ნოდარ ხოხაშვილი — 1964

### მსოფლიო ჩემპიონატები

**ოქრო**

ვახტანგ ბალავაძე — 1954
არსენ მეკოკიშვილი — 1954
ვახტანგ ბალავაძე — 1957
გიორგი სხირტლაძე — 1959
ვლადიმერ რუბაშვილი — 1961
გურამ საღარაძე — 1963
გურამ საღარაძე — 1965
ზარბეგ ბერიაშვილი — 1969
შოთა ლომიძე — 1969
ლევან თედიაშვილი — 1971
შოთა ლომიძე — 1971
ლევან თედიაშვილი — 1973
ლევან თედიაშვილი — 1974
ლევან თედიაშვილი — 1975
ლერი ხაბელოვი — 1985
დავით გობეჯიშვილი — 1985
ლერი ხაბელოვი — 1987

**ვერცხლი**

მირიან ცალქალამანიძე — 1957
გიორგი სხირტლაძე — 1957
ვახტანგ ბალავაძე — 1959
ზარბეგ ბერიაშვილი — 1963
ზარბეგ ბერიაშვილი — 1965
გურამ საღარაძე — 1966
ზარბეგ ბერიაშვილი — 1967
გურამ საღარაძე — 1967
შოთა ლომიძე — 1967
ლევან თედიაშვილი — 1978
დავით გობეჯიშვილი — 1986

**ბრინჯაო**

მირიან ცალქალამანიძე — 1954
ნიკოლოზ მუზაშვილი — 1954
სერგო გაბარაევი — 1954
ვლადიმერ არსენიანი — 1959
ტარიელ ალიბეგაშვილი — 1969
ნოდარ ხოხაშვილი — 1969.

## ყველა გამარჯვებული (1962—1989)

**თბილისის** პირველ საერთაშორისო ტურნირში რვა წონითი კატეგორიის ათლეტები მონაწილეობდნენ. ასე ჩატარდა მომდევნო შეჯიბრებებიც და მხოლოდ 1969 წლიდან მოყოლებული პირველობა 10 წონაში იმართება (დაემატა 48 და 82 კგ წონები).

გთავაზობთ ყველა ტურნირში გამარჯვებულ ათლეტთა ვინაობას:

**1962 წელი.** ზ. შეყრილაძე, ა. იბრაგიმოვი, ვ. რუბაშვილი, ს. ბერიაშვილი, გ. საღარაძე, შ. ლომიძე, ა. აიხანოვი, ა. ივანიცკი (ყველა — სსრ კავშირი).

**1963 წელი.** ა. ხოდაბანდი (ირანი), ა. იბრაგიმოვი, ს. ქარსაულიძე, ზ. ბერიაშვილი, გ. საღარაძე, ა. ალბული, ა. აიხანოვი, ა. მედვედი (ყველა — სსრ კავშირი).

**1964 წელი.** ა. ხეიდარი (ირანი), დ. მუშეღიანი, ნ. ხოხაშვილი (ორივე — სსრკ), ა. მოვახედი (ირანი), გ. ცხოვრებოვი, შ. ლომიძე, კ. ლიივა, ა. ივანიცკი (ყველა — სსრკ).

**1965 წელი.** რ. მამედოვი, ა. ალიევი (ორივე— სსრკ), ე. დინევი (ბულგარეთი), ზ. ბერიაშვილი, გ. საღარაძე, ა. ცხოვრებოვი (სამივე — სსრკ), ა. აიკი (თურქეთი), ა. მედვედი (სსრკ).

**1966 წელი.** რ. პურასტოლი (ირანი), გ. გოგიჩაიშვილი, ს. ქარსაულიძე, ნ. ხოხაშვილი, ი. შახმურადოვი, ა. ცხოვრებოვი, კ. ლიივა (ყველა — სსრკ), ვ. კოსტოვი (ბულგარეთი).

**1967 წელი.** გ. ნამატოლი (ირანი), გ. გოგიჩაიშვილი, ე. თედეევი (ორივე — სსრკ), დ. მარინოვი (ბულგარეთი), თ. ასლამაზიშვილი, ა. ცხოვრებოვი, შ. ლომიძე, ვ. საუნინი (ყველა —სსრკ).

**1968 წელი.** ა. ხეიდარი (ირანი), პ. მალიანი (სსრკ), ი. ტოდოროვი (ბულგარეთი), დ. სრეტერი (მონგოლეთი), ი. შახმურადოვი, ა. ცხოვრებოვი, ვ. გულიუტკინი (სამივე — სსრკ), ვ. ვასილიევი (ბულგარეთი).

**1969 წელი.** რ. დმიტრიევი, ტ. ალიბეგაშვილი, პ. მალიანი, ზ. აბდულბეკოვი, ნ. ხოხაშვილი, ზ. ბერიაშვილი, ლ. გადაიჩუკი (ყველა — სსრკ), რ. პეტროვი (ბულგარეთი), შ. ლომიძე, ე. გოცირიძე (ორივე — სსრკ).

**1970 წელი.** რ. დმიტრიევი (სსრკ), მ. გორბანი, დ. აბდულბაგერი (ორივე — ირანი), ზ. აბდულბეკოვი, ნ. ხოხაშვილი, ნ. ჟურული, ლ. თედიაშვილი, შ. პაპაშვილი, კ. ლიივა, ვ. პარშუკოვი (ყველა — სსრკ).

**1971 წელი.** ო. ველიკოვი (ბულგარეთი), ა. ივანოვი (სსრკ), დ. ბემი (აშშ), გ. ყვარელაშვილი, ვ. კაზაკოვი, რ. მარსაგიშვილი, ლ. თედიაშვილი, შ. პაპაშვილი, ი. იარიგინი, ნ. მოდებაძე (ყველა — სსრკ).

**1972 წელი.** რ. გაჯიევი, თ. მიქელაძე, ი. კულეშოვი, რ. პლიევი (ყველა — სსრკ), დ. გეიბლი (აშშ), ზ. ბერიაშვილი, ლ. თედიაშვილი, გ. სტრახოვი, ვ. კაკოშკინი, ნ. მოდებაძე (ყველა—სსრკ).

**1973 წელი.** ს. ისაევი (ბულგარეთი), ა. ივანოვი, ი. ლეგაშვილი, ვ. გაჯიევი (სამივე — სსრკ), კ. გოლიამი (ირანი), რ. აშურალიევი, ა. ილურიძე (ორივე — სსრკ), ბ. პეტერსონი (აშშ) ვ. გულიუტკინი, ნ. მოდებაძე (ორივე — სსრკ).

**1974 წელი.** კ. სიგორუხი (იაპონია), თ. ფაშაევი, რ. დობორჯგინიძე გ. ყვარელაშვილი, გ. იბრაგიმოვი, ვ. არაცილოვი, ა. ილურიძე (ყველა — სსრკ), რ. ჰელიკსონი (აშშ), ზ. ნიკურაძე, ბ. ბიგაევი (ორივე — სსრკ).

**1975 წელი.** ა. გაჯიევი, ს. ბელოგლაზოვი, ვ. იუმინი, ბ. ბაზაევი, პ. პინიგინი, ტ. როსტომაშვილი, ვ. პოტაპენკო, ლ. თედიაშვილი, ს. ხასიმიკოვი, ბ. ბიგაევი (ყველა — სსრკ).



**1976 წელი.** ვ. დმიტრიევი, ტ. ფაშაევი, ა. აბდულრაჰმანოვი, ბ. ბაზაევი, გ. მაკასარაშვილი (ყველა — სსრკ), უ. შალცი (აშშ), ვ. ნოვოჟილოვი, ვ. მარშანია, ი. იარიგინი, ნ. მოდებაძე (ყველა — სსრკ).

**1977 წელი.** ს. ბელოგლაზოვი, ვ. ალექსეევი, ა. ივანოვი, ვ. იუმინი, ი. გაიდარბეკოვი, ტ. როსტომაშვილი, ზ. ზანგიევი, ა. პროკოპჩუკი, ს. ხასიმიკოვი, ბ. ბიგაევი (ყველა — სსრკ).

**1978 წელი.** ა. ბაზმოვარი (ირანი), ა. ივანოვი, ვ. იბრაგიმოვი, ს. ხატაგოვი, ი. გაიდარბეკოვი, მ. აბდულ-მუსლიმოვი, ზ. ზანგიევი, ვ. ბატნია, ლ. თედიაშვილი, ბ. ბიგაევი (ყველა — სსრკ).

**1979 წელი.** ვ. დმიტრიევი, ი. შუგაევი, ს. ბელოგლაზოვი, ს. აბსაიდოვი, ნ. პეტრენკო, მ. აბდულ-მუსლიმოვი, ო. ალექსეევი, ა. პროკოპჩუკი, ი. მატე, ს. ანდიევი (ყველა — სსრკ).

**1980 წელი.** ს. კორნილაევი (სსრკ), დ. მილზი (აშშ), გ. ბაღდასარიანი, ს. ხატაგოვი, ნ. პეტრენკო, გ. მაკასარაშვილი, ო. კალოევი, ს. ოჰანესიანი, ი. მატე, ს. ანდიევი (ყველა — სსრკ).

**1981 წელი.** ს. კორნილაევი, ი. შუგაევი, ს. ბელოგლაზოვი, ბ. იბრაგიმოვი, მ. ხარაჩურა, გ. მაკასარაშვილი, ო. ალექსეევი, ს. ოჰანესიანი, მ. მაჰომედოვი, ს. ხასიმიკოვი (ყველა — სსრკ).

**1982 წელი.** ა. სანოიანი (სსრკ), დ. გონსალესი (აშშ), ს. ბელოგლაზოვი, ბ. იბრაჰიმოვი, დ. გიგაური, ი. ვოროზიოვი, ვ. მოდოსიანი, ვ. ევლოევი, მ. მაჰომედოვი, ბ. ბიგაევი (ყველა — სსრკ).

**1983 წელი.** ს. კარამჩაკოვი (სსრკ), ვ. იორდანოვი (ბულგარეთი), რ. კარაევი, ა. ფარკუშინი (ორივე — სსრკ), ე. რაი (აშშ), ვ. ძუგუტოვი, გ. მაკასარაშვილი, პ. ნანიევი, გ. ყურაშვილი, ბ. ბიგაევი (ყველა — სსრკ).

**1984 წელი.** ს. კორნილაევი, ზ. ტატუაშვილი, ს. ბელოგლაზოვი, ვ. ალექსეევი, ა. ფაძაევი, ტ. მაჰომადოვი, ვ. მოდოსიანი, რ. თიბილოვი, მ. მაჰომედოვი (ყველა — სსრკ), ბ. ბაუმჰარტნერი (აშშ).

**1985 წელი.** ა. დორჟუ, მ. დაიბოვი, რ. კარაევი, ვ. ალექსეევი, მ. აბუშევი, ტ. მაჰომადოვი, ვ. მოდოსიანი, მ. ხადარცევი, ლ. ხაბელოვი, ვ. ზანგიევი (ყველა — სსრკ).

**1986 წელი.** ლი ზე სიკი (კსდრ), ვ. თოგუზოვი, რ. კარაევი, ხ. ისაევი, ა. მაჰომედოვი, ა. ვარაევი, ლ. ქაბრაილოვი, მ. ხადარცევი, ლ. ხაბელოვი, დ. გობეჯიშვილი (ყველა — სსრკ).

**1987 წელი.** ლი ზე სიკი (კსდრ), ზ. ტატუაშვილი, რ. კარაევი, ხ. ისაევი, ა. მაჰომედოვი (ყველა — სსრკ), დ. შულცი (აშშ), ი. ვოროზიოვი, ს. ოჰანესიანი, ლ. ხაბელოვი, ა. ხადარცევი (ყველა — სსრკ).

**1988 წელი.** გ. მეჯლუმიანი, ვ. თოგუზოვი, რ. კარაევი, ს. სარქისიანი, ა. მაჰომედოვი (ყველა — სსრკ), კ. მონდეი (აშშ), ა. ტამბოვცევი, შ. აბდურახმანოვი, ლ. ხაბელოვი, დ. გობეჯიშვილი (ყველა — სსრკ).

**1989 წელი.** ლი ხოკ სონი (კსდრ), ვ. თოგუზოვი (სსრკ), კიმ იონ სიკი (კსდრ), გ. მაკოევი, ა. მუტალიბოვი, გ. ხაზამოვი (სამივე — სსრკ), მ. დუგლასი (აშშ), ს. ოჰანესიანი, ზ. თურმანიძე (ორივე — სსრკ). 90 კგ წონით კატეგორიაში ოქროს მედალი არ გათამაშდა.




# საკლუბო ტურნირების კოეფიციენტი

**7 და 21 მარტს** გაიმართება ფეხბურთში ევროპის სამივე საკლუბო ტურნირის მეოთხედფინალური მატჩები. გათამაშების ამ ეტაპზე ყველაზე მეტი წარმომადგენელი შეინარჩუნეს გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, იტალიამ, ბელგიამ (4-4 კლუბი), აგრეთვე, საფრანგეთმა (3).

სამწუხაროდ, როგორც ეს ადრეც არაერთხელ მომხდარა, გათამაშების ამ ფაზაში, საბჭოთა კლუბებიდან ერთადერთი დნეპროპეტროვსკის „დნეპრია", რომელიც ჩემპიონთა თასის გათამაშებას შემორჩა. მისი მეტოქე იქნება პორტუგალიის „ბენფიკა".

პორტუგალიასაც და სსრ კავშირსაც ამჟამად ევროპულ ტურნირებზე თითო გუნდი დარჩათ და კოეფიციენტთა ცხრილშიც ერთმანეთის გვერდით იმყოფებიან. ეს ცხრილი თავის საბოლოო სახეს მხოლოდ გაზაფხულზე მიიღებს, როდესაც საკლუბო ტურნირები დამთავრდება. მაშინ გავიგებთ იმასაც, თუ რომელი ქვეყანა რამდენი კლუბით წარსდგება უეფა-ს თასის გათამაშებაში 1991 წლის შემოდგომაზე.

შეგახსენებთ, რომ ის ქვეყნები, რომლებიც კოეფიციენტთა ცხრილში I-III ადგილებზე განლაგდებიან, ტურნირში ოთხ-ოთხ კლუბს გამოიყვანენ, მე-4—მე-8 ადგილებზე გასულები — სამ-სამს, მე-9 — 21-ე — ორ-ორს, 22-ე—31-ე— თითოს. ამ სქემის მიხედვით გროვდება 63 გუნდი, ტურნირში კი 64 გუნდი უნდა მონაწილეობდეს. ასეთ შემთხვევაში დამატებით ადგილს ყოველთვის იღებდა ის ქვეყანა, რომელიც ცხრილში მეცხრე ადგილზე იდგა. ამჟამად ამ ადგილზეა რუმინეთი, რომელსაც ახლა ერთი კლუბი შემორჩა თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში.

კოეფიციენტთა ცხრილში ევროპის ქვეყნები ასე არიან განლაგებული.

1. ესპანეთი — 42,332
2. გფრ — 42,260
3. იტალია — 37,640
4. ბელგია — 33,633
5. პორტუგალია — 27,033
6. სსრ კავშირი — 26,966
7. ჰოლანდია — 26,500
8. საფრანგეთი — 25,500
9. რუმინეთი — 25,050
10. შოტლანდია — 24,800
11. შვეცია — 22,600
12. იუგოსლავია — 21,700
13. ავსტრია — 20,300
14. გდრ — 19,250
15. შვეიცარია — 16,760
16. ჩეხოსლოვაკია — 15,750
17. ფინეთი — 14,581
18. დანია — 13,998
19. ბულგარეთი — 12,749
20. საბერძნეთი — 12,250
21. უნგრეთი — 12,250
22. პოლონეთი — 11,000
23. თურქეთი — 10,998
24. ალბანეთი — 10,666
25. ნორვეგია — 5,999
26. კიპროსი — 5,666
27. ჩრ. ირლანდია — 4,333
28. ისლანდია — 4,000
29. მალტა — 1,999
30 ლუქსემბურგი — 1,332
31. ირლანდია — 1,332

როგორც ცხრილიდან ჩანს, სსრ კავშირს სერიოზული კონკურენტები ჰყავს პორტუგალიის, ჰოლანდიისა და საფრანგეთის სახით. არადა, თუ სსრ კავშირმა 1984-85 წლების სეზონში 10,000 ქულა დააგროვა, შემდგომ სეზონებში ეს ციფრი განუხრელად დაბლა იწევს — 8,400; 6,400; 4,500; 2,666.

ახლა მეორე ცხრილს გავეცნოთ, სადაც წლევანდელი სეზონის კოეფიციენტებია მოყვანილი:

1. გფრ — 8,333
2. ბელგია — 7,200
3. საფრანგეთი — 6,600
4. ავსტრია — 6,400
5. იტალია — 6,142
6. ესპანეთი — 5,166
7. სსრ კავშირი — 5,000
8. იუგოსლავია — 4,500
9. პორტუგალია — 4,200
10. შვეიცარია — 3,750
11. რუმინეთი — 3,500
12. საბერძნეთი — 3,500
13. ბულგარეთი — 3,333
14. გდრ — 3,250
15. ჰოლანდია — 3,200
16. შოტლანდია — 3,200
17. ჩეხოსლოვაკია — 3,000
18. შვეცია — 2,500
19. ალბანეთი — 2,000
20. უნგრეთი — 1,250
21. ფინეთი — 1,250
22. კიპროსი — 1,000
23. პოლონეთი — 0,750
24. დანია — 0,666
25. მალტა — 0,666
26. ლუქსემბურგი — 0,333
27 ნორვეგია — 0,333
28. თურქეთი — 0,333
29. ირლანდია — 0,000
30 ისლანდია — 0,000
31. ჩრ. ირლანდია — 0,000.

ბევრმა არ იცის, თუ როგორ ხდება ამ ქულების დაანგარიშება. იმისათვის, რომ ყველაფერი ნათელი გახდეს, ავიღოთ სსრ კავშირის მაგალითი. ევროპის თასების წლევანდელ გათამაშებაში კიევის „დინამო" და დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა" 8-8 ქულა მოაგროვეს („დინამო" — 3 მოგება, 2 ფრე, 1 დამარცხება; „დნეპრი" — 3 მოგება, 1 ფრე, 1 პრემიალური ქულა მეოთხედფინალში გასვლისთვის). 5 ქულა მიიღო „ტორპედომ", 4 — „სპარტაკმა", 3 — „ზენიტმა", 2 — „ჟალგირისმა". საერთო ჯამში 30 ქულა მოგროვდა, რომელიც უნდა გაიყოს ექვსზე (გათამაშების სტარტზე დაშვებული გუნდების რაოდენობა). სწორედ აქედანაა მიღებული კოეფიციენტის 5,000 ქულა.

ერთი სიტყვით, ამ კოეფიციენტის გაუმჯობესება ახლა მხოლოდ „დნეპრს" შეუძლია.

## ფეხბურთის ახალი ამბები

### „იუვენტუსი" ყიდულობს ფეხბურთელს

იტალიის ქალაქ ტურინის ცნობილი საფეხბურთო კლუბი „იუვენტუსი" ახალ ფეხბურთელს ყიდულობს, ლაპარაკია „ფიორენტინის" საუკეთესო ფეხბურთელ რობერტო ბაჯიოზე, რომელიც „სკუადრა აძურას" იმედად მიაჩნიათ.

კონტრაქტი ჯერ ხელმოწერილი არაა. „ფიორენტინის" მეპატრონეები ძმები ფლავიო და კლაუდიო პონტელიოები სხვადასხვა შეხედულებისა არიან თავიანთი კლუბის ამოცანებზე. ფლავიოს მიაჩნია, რომ „ფიორენტინამ" უნდა მოძებნოს ტალანტები და შემდეგ ძვირად გაყიდოს სხვა კლუბებში, როგორც, მაგალითად, ამას წინათ „მილანს" მიყიდეს სტეფანო ბორგონოვო. კლაუდიოს აზრით კი, „ფიორენტინა" იტალიაში უძლიერესი უნდა გახდეს, ამიტომაც რობერტო ბაჯიოს შენარჩუნება მისთვის ფრიად საჭიროა.

თვით 22 წლის რ. ბაჯიოს, რომლის შემწეობითაც „ფიორენტინა" უეფა-ს თასის მეოთხედფინალში გავიდა, მაინცდამაინც არა აქვს „იუვენტუსში" გადასვლის სურვილი. რ. ბაჯიოს საქმე უახლოეს ხანებში გაირკვევა.

### აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელი

ცნობილი საფეხბურთო ჟურნალების „ფრანს ფუტბოლისა" და „აფრიკ ფუტბოლის" ყოველწლიური ტრადიციული გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელი. ესაა ლიბერიელი ჯორჯ უი, რომელიც საფრანგეთის „მონაკოში" თამაშობს.

23 წლის ჯორჯ უი ბოლო 20 წლის განმავლობაში პირველი ლიბერიელი ფეხბურთელია, რომელიც აფრიკის კონტინენტზე საუკეთესოდ დაასახელეს. მეორე ადგილზე გავიდა კამერუნელი ჟოზეფ-ანტუან ბელი (იგი საფრანგეთის „ბორდოში" გამოდის), ხოლო მესამეზე — შარშანდელი პირველი ლაურეატი, ზამბიელი თავდამსხმელი კალუშა ბვალია, რომელიც ამჟამად ჰოლანდიის „ეინდჰოვენში" თამაშობს.

### ჯარიმის გადახდას არ აპირებენ

ამას წინათ გაზეთებში გამოქვეყნდა ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ საფეხბურთო მატჩების უკანონო ტელეტრანსლაციისთვის ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია დაჯარიმებულია 1,5 მილიონი შვეიცარიული ფრანკით. თანხა საკმაოდ დიდია, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციას კი არავითარი სურვილი არა აქვს იგი გადაიხადოს. იგი აცხადებს, რომ ტელეტრანსლაციასთან არავითარი საქმე არა აქვს და პასუხისმგებლობა ესპანეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგას გადააბრალა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან კლუბები. მაგრამ, როგორც გამოირკვა, არც პროფესიული ლიგა ცნობს თავს დამნაშავედ და არც ჯარიმის გადახდას აპირებს.

ესპანეთის პროფესიული ლიგის ვიცე-პრეზიდენტმა და მადრიდის „რეალის" პრეზიდენტმა რამონ მენდოსამ განაცხადა:

— მე არ ვიცი აპირებს თუ არა ფედერაცია ჯარიმის გადახდას, მაგრამ ჩვენ სულაც არა გვაქვს ამ ფულის გადახდის სურვილი.



### უძლიერესი თავდამსხმელი გამოაკლდათ

ეგვიპტის გაზეთების ცნობით, ამ ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრების უძლიერესმა თავდამსხმელმა ხიშამ აბდელ რასულმა საგზაო ავარიის შედეგად სერიოზული ტრავმა მიიღო, ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდება და, როგორც ჩანს, მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის იმედი არ უნდა ჰქონდეს.

### კატეგორიულად უარყო

მადრიდის „რეალის" საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტმა რამონ მენდოსამ კატეგორიულად უარყო პრესაში გამოქვეყნებული ცნობა იმის შესახებ, რომ მისი გუნდი აპირებს 11 მილიონი დოლარი გადაიხადოს ურუგვაელ რუბენ სოსაში (იგი ახლა რომის „ლაციოში" თამაშობს). როგორც მენდოსამ განაცხადა, ეს ფეხბურთელი „რეალს" საერთოდ არ აინტერესებს.

### „ვეტერანებს რატომ ეყრდნობა?"

ბელგრადის გაზეთ „სპორტისათვის" მიცემულ ინტერვიუში ცნობილმა იუგოსლაველმა ფეხბურთელმა ცვეტკოვიჩმა არასწორად მიიჩნია ნაკრების მწვრთნელ ოსიმის გადაწყვეტილება, რომ მსოფლიო ჩემპიონატში ძირითადად ვეტერან ფეხბურთელებს დაეყრდნოს:

— არსად ევროპაში არ არის იმდენი ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი, რამდენიც იუგოსლავიაში, ამიტომ მწვრთნელ ოსიმს დიდი შეცდომა მოსდის, როცა გუნდს არ აახალგაზრდავებს.

### ჯერჯერობით გლოკირებულია

გდრ-ის სპორტის მესვეურებმა ჯერჯერობით „ყადაღა დაადეს" ცნობილ თავდამსხმელ ერნსტის (ბერლინის „დინამო") გადასვლას დორტმუნდის „ბორუსიაში". აი, როგორ განმარტეს მათ ეს გადაწყვეტილება: ერნსტი სპორტული ფორმისაგან ძალიან შორსაა და „ბორუსიაში" გადასვლა შელახავს მის რეპუტაციას, მეორეც — ეს გადასვლა თავისი კლუბის — „დინამოს" შედეგებზეც იმოქმედებს.

### „ვნახოთ, როგორ მოიქცევიან გულშემატკივრები!"

უეფა აპირებს 1990-91 წლების სეზონიდან ინგლისურ კლუბებს კვლავ დართონ ნება ითამაშონ ევროპულ ტურნირებში. ეს არ ეხება „ლივერპულს", რომლის დისკვალიფიკაციის ვადა კიდევ 3 წელს გაგრძელდება. ამასთან, როგორც ლონდონის გაზეთ „დეილი ექსპრესის" მიერ გამოქვეყნებულ ცნობაშია ნათქვამი, უეფა შეეცდება „ლივერპულს" ეს ხანგრძლივი სასჯელი მოუხსნას და ევროპული თასების გათამაშებაში სხვა ინგლისის გუნდებთან ერთად დაუშვას. უეფა-მ ამის შესახებ არაოფიციალურად აცნობა „ლივერპულის" ხელმძღვანელობას, მაგრამ აქვე განმარტა, რომ ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ მოიქცევიან ინგლისელი გულშემატკივრები ზაფხულში იტალიაში მსოფლიო ჩემპიონატის დროს.

### 3 მილიონი დოლარი ჯდება

როგორც ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაშია ნათქვამი, ნაკრების მომზადება და მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატში ჯდება 3 მილიონი დოლარი. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბრაზილიელები თანხის ერთ ნაწილს ფიფა-ს ავანსის სახით გამოართმევენ.



სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# ჩემპიონი ორჯერ დამარცხდა

**გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ორი მატჩი.**

**კიევი.** ქვეყნის ჩემპიონმა ადგილობრივმა „ბუდიველნიკმა" მეორე შეხვედრაც წააგო მოსკოვის „დინამოსთან" — 94:96 (35:47).

**ვილნიუსი.** „სტატიბასა" და რიგის ვეფ-ის პირველ მატჩში უპირატესობა სტუმრების მხარეს იყო — 78:70 (42:44).

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 24 იანვრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 27 | 23 | 4 | 50 |
| ვეფ (რიგა) | 29 | 17 | 12 | 46 |
| „ბუდიველ." (კ.) | 28 | 17 | 11 | 45 |
| „დინამო" (მოსკ.) | 26 | 18 | 8 | 44 |
| „ჟალგირ." (კაუნ.) | 27 | 13 | 14 | 40 |
| „კალევი" (ტალ.) | 25 | 14 | 11 | 39 |
| „სპარტ." (ლენ.) | 28 | 11 | 17 | 39 |
| რტი (მინსკი) | 28 | 11 | 17 | 39 |
| ასკ (ალმა-ათა) | 22 | 15 | 7 | 37 |
| „დინამო" (თბ.) | 25 | 9 | 16 | 34 |
| „შახტ." (დონ.) | 26 | 7 | 19 | 33 |
| „სტატიბა" (ვილნ.) | 27 | 4 | 23 | 31 |

სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში • I ლიგა

## გუშინ...

თბილისში, ლენინის სახელობის დარბაზში, გაიმართა სსრ კავშირის პირველობის მორიგი შეხვედრა პირველი ლიგის კალათბურთელ ქალთა გუნდებს შორის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა უმასპინძლა გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს კაუნასის „ბანგას". მატჩის პირველი ნახევარი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. მეორე ნახევარში კი ჩვენს გუნდში თავი იჩინა წინა მძიმე მატჩებიდან გამოყოლილმა დაღლილობამ. ამას დაემატა თბილისელ კალათბურთელთა ჯერ კიდევ მოუშუშებელი ტრავმები. საბოლოოდ თბილისელებმა ეს შეხვედრა წააგეს 66:89 (37:38).

განმეორებითი მატჩი გაიმართება დღეს, 17 საათზე.

# მასპინძელთა რევანში

## სსრ კავშირი — აშშ

**ორჯონიკიძე.** ამერიკისა და საბჭოთა მოჭიდავეების მეორე ამხანაგურ შეხვედრაში წარმატება მასპინძლებს ხვდათ — 7:3. აი როგორ წარიმართა ორთაბრძოლები ცალკეულ წონებში:

48 კგ. ტიმ ვენიმ (აშშ) დაამარცხა სარინ-დორჟუ ხალტანოვი, 52 კგ. ვლადიმერ თოგუზოვმა (სსრ კავშირი) — ედ გიზი, 57 კგ. ოსმან ეფენდიევმა (სსრ კავშირი) — ბრედ პინრიდი, 62 კგ. ვადიმ ბოგიევმა (სსრ კავშირი) — ჯონ ფიშერი, 68 კგ. ჯონ ჯილმა (აშშ) — არტურ მუტალიბოვი, 74 კგ. ნასირ გაჯიხანოვმა (სსრ კავშირი) — რობ კოლი, 82 კგ. კევინ ჯონსონმა (აშშ) — რუსტემ ქელეხსაევი, 90 კგ. ჯამბულატ თედეევმა (სსრ კავშირი) — დენ ჩენდი, 100 კგ. მახარბეკ ხადარცევმა (სსრ კავშირი) — კირკ ტროსტი, 130 კგ. ოლეგ ნანიევმა (სსრ კავშირი) — ჯონ გრინლი.

# ფინალში „ოქროს" ქულით

**პიატიგორსკში** დამთავრდა 1976-1977 წლებში დაბადებულ ჭაბუკ კალათბურთელთა საკავშირო პირველობის ზონალური ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ლენინგრადის, ესტონეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ტაჯიკეთისა და რუსეთის ფედერაციის პირველი გუნდის წარმომადგენლები. ჯერ მარტო ამ რესპუბლიკების უბრალო ჩამოთვლაც ცხადყოფს, რომ აღნიშნულ ზონაში თავი მოიყარა, ფაქტიურად, ყველა ფავორიტმა და რომ ნებისმიერ გუნდს წარმატების შემთხვევაში მწვანე გზა გაეხსნებოდა ფინალურ ტურნირში გამარჯვებისთვის (ფინალური ასპარეზობა ჩატარდება მარტში, მაგრამ სად, ჯერ დადგენილი არ არის). თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საბოლოო გამარჯვებაზე საუბარი ჯერ ადრეა.

ასე იყო თუ ისე პიატიგორსკის ტურნირის მონაწილეთა შორის ორი უმთავრესი ამოცანა იდგა: ფინალურ ნაწილში გასვლა და შეძლებისდაგვარად ოქროს ქულის მოპოვება, რომელიც ჟადამწყვეტ ეტაპზე წარმატების დამატებით გარანტიას იძლევა.

საქართველოს ჭაბუკებმა ასპარეზობა აზერბაიჯანელ თანატოლებთან გამარჯვებით დაიწყეს — 97:43 (49:21). ხედავთ ალბათ, რომ ამ შეხვედრაში ჩვენს გუნდს პრობლემები არ ჰქონია, ისევე როგორც მომდევნო სამ ორთაბრძოლაში: ესტონეთის კალათბურთელები დაამარცხეს ანგარიშით 63:46 (41:17), ტაჯიკეთის — 80:44 (38:30), ლენინგრადისა კი 67:51 (37:18).

ბოლო ტურში საქართველოს გუნდი შეხვდა მთავარ მეტოქეს, რუსეთის ფედერაციის ნაკრებს. ეს ორთაბრძოლა მართლაც მძაფრი და დაძაბული გამოდგა, მაგრამ გამარჯვება მაინც ჩვენს ჭაბუკებს დარჩათ 64:59.

ფინალის მეორე საგზურის მიღება გაცილებით უფრო რთული აღმოჩნდა. სამ გუნდს — რუსეთის ფედერაციას, ლენინგრადსა და ესტონეთს ერთნაირი ქულები აღმოაჩნდათ და მხოლოდ ურთიერთშეხვედრათა უკეთესი ბალანსით უპირატესობა რუსეთის კალათბურთელებს მიენიჭათ. ამრიგად ფინალში თამაშის უფლება პიატიგორსკის ზონიდან საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის ჭაბუკებმა მოიპოვეს, მაგრამ ჩვენ მარაგში ერთი ოქროს ქულა უკვე გვაქვს.

# დავუმტკიცოთ ჩვენი სიძლიერე

ამ ბოლო დროს პრესაში, ტელევიზიაში და ყველგან, სადაც შესაძლებელია, დიდი აჟიოტაჟი და ხმაურია უნგრელი დები პოლგარების ფენომენზე და მათ დიდ გამარჯვებებზე საჭადრაკო სარბიელზე. ეს მართლაც ასეა, მაგრამ, ჩემი აზრით, ძალიან გადაჭარბებულია მათი ქება — საკითხავია, ვისთან აღწევენ ისინი წარმატებებს?...

ფაქტია, სანამ საბჭოთა გუნდი ქართველი მოჭადრაკეებით (ე. წ. ქართული ვარიანტით) იყო დაკომპლექტებული, საჭადრაკო ოლიმპიადებზე გამარჯვებულნი გამოვდიოდით. დღეს? დღეს მდგომარეობა შეიცვალა და ექსჩემპიონობალა შეგვრჩა. დიახ, დავკარგეთ „ოქრო". ეს კი, უპირველეს ყოვლისა, საკავშირო სპორტსახკომის მესვეურთა ბრალია. აქაოდა, ბევრი ქართველი არ შეიკრიბოს გუნდშიო და მსოფლიო პირველობის დამქანცველი მატჩით გადაღლილი მსოფლიო ჩემპიონის მაია ჩიბურდანიძის გარდა არავინ გააკარეს ნაკრებს (ელენა ახმილოვსკაიას, რა თქმა უნდა, არ ვთვლით, რადგან, თუ რანაირი „ქართველი" ან თუნდაც საბჭოთა მოქალაქე იყო, ეს თავად დაამტკიცა, ოლიმპიადის დამთავრებამდე გაუდგა შეერთებული შტატების გზას). ჰოდა, რა გასაკვირია, ვერ გამოვედით ისე, როგორც ეს ჩვენს საჭადრაკო სკოლას ეკადრებოდა და ჰოი, საოცრებავ, რას არ გაიგებს კაცის ყური: თურმე ამ მარცხში პირველი დამნაშავე... მაია ჩიბურდანიძე ყოფილა?! როგორო, იკითხავს მკითხველი. როგორ და, ცენტრალურ პრესაში გამოჩნდა პუბლიკაციები, სადაც ძმნაშავედ ჩვენი სასიქადულო ჩემპიონია გამოყვანილი. აი სწორედ ამაზეა ნათქვამი — შარო საიდანაო... გაგონილა ასეთი ცილისწამება? თურმე გაგონილა და შეიძლება კიდეც... ასე ყოფილა, დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალი. ჭეშმარიტად! ფაქტები კი რას ღაღადებს? ჩიბურდანიძეს აღნიშნულ ოლიმპიადაზე არც ერთი პარტია არ წაუგია და მაინც „მოღალატედ" გამოიყვანეს. ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია.

ყოველივე ზემო აღნიშნულის გამო, ერთ, ჩემი აზრით, მეტად საშურ წინადადებას ვაყენებ. მოდით, მოვიწვადინოთ და ჩავატაროთ შემდეგი მატჩ-ტურნირები:

1. საბჭოთა კავშირის ნაკრები — საქართველო
2. მსოფლიო ნაკრები — საქართველო
3. უნგრეთის ნაკრები — საქართველო

ჩემი აზრით, გარდა იმისა, რომ აღნიშნული ტურნირები დიდ ინტერესს გამოიწვევს არა მარტო ჩვენში, არამედ მსოფლიოშიც, იგი ამავე დროს დარჩება დიდ მოვლენად მსოფლიო ჭადრაკის ისტორიაში. გარდა ამისა, რაც მთავარია, გაიცემა ჭეშმარიტი პასუხი იმაზე, თუ ვინ რას წარმოადგენს, და ვის რა შეუძლია. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დავარწმუნოთ საბოლოოდ ქ-ნი რიმა ბილუნოვა და მისი მსგავსი ურწმუნო „თომები", რომ ჩვენი მოჭადრაკე ქალები ძლიერნი და საუკეთესონი არიან მსოფლიოში. მჯერა, ჩვენი სათაყვანო, საამაყო „ოქროს" ქალებისა და მათი გამარჯვებისა!

ამავე დროს, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ საქმის მოგვარებაში დახმარებას გაგვიწევს თვით ფიდე-ს პრეზიდენტი ბატონი ფლორენსიო კამპომანესი, რომელსაც ბევრი კარგი და თბილი მოგონება აკავშირებს საქართველოსთან და მის ხალხთან. ახლა მთავარია მოვიწვადინოთ და ხორცი შევასხათ ამ წინადადებას. ჩვენ ჩვენი ვცადოთ, რადგან კაცი იმედით ცოცხლობს და იქნებ შევძლოთ... მე მგონი საინტერესო წინადადებაა, არა? შენ რას იტყვი, მკითხველო?

**შოთა ზუკაკიშვილი.**

**გთხოვთ, ჰონორარი გადარიცხოთ დემოგრაფიულ ფონდში.**

# მოკრივეები გურჯაანში შეიკრიბნენ

**მოზარდთა** შეჯიბრებებს ახლა სულ სხვა თვალით ვუყურებთ, რადგან საქმე გვაქვს ჩვენი სპორტის მომავალთან და მისი დაოსტატება ამთავითვე სათანადო კალაპოტით უნდა წარიმართოს. მაგრამ, როცა სტარტზე 15-16 წლის გოგო-ბიჭები გამოდიან, მათ უფრო მეტ მოთხოვნებს ვუყენებთ, ამ ასაკის სპორტსმენებს ხომ სულ მალე მეტად სერიოზული გამოცდა ელით მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე, რომელიც ამ ზაფხულს გაიმართება. ჰოდა, რესპუბლიკის მოკრივეთა ნაკრების კანდიდატთა შერჩევის ერთ-ერთი ასპარეზობა გახლდათ გურჯაანის ზონალური შეჯიბრება. რომელშიც რესპუბლიკის 25 ქალაქის წარმომადგენელი იბრძოდა. აქ არ იყვნენ ქუთაისის, თბილისის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, აჭარისა და ფოთის მოკრივეები. ისინი დაშვებულნი არიან ფინალში, რომელიც 7-13 თებერვალს გაიმართება.

გურჯაანის რინგზე ტექნიკურად მომზადებულმა არაერთმა სპორტსმენმა მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება. პირველ ყოვლისა, ეს ითქმის გურჯაანელ, ზუგდიდელ და ახალციხელ ჭაბუკებზე, რომელთაც ტოლი არ დაუდეს კრივის აღიარებული ცენტრების — ჭიათურისა და ხობის წარმომადგენლებს. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი დავით კვაჭაძის საკავშირო პრიზის გათამაშების წლევანდელმა მფლობელმა, გორელმა სპორტსმენმა დავით ავაზნელმა (63 კგ).

გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა ხობის სკოლა-ინტერნატის (მწვრთნელი ტარიელ ვერულაშვილი) აღსაზრდელთა გუნდმა, რომელშიც თავმოყრილია დასავლეთ საქართველოს საუკეთესო ძალები, მეორე ადგილზე გავიდა გორის გუნდი, მესამეზე — ჭიათურისა. პირველი ორი ზემოდასახელებულ ფინალისტებთან ერთად გამოვლენ დასკვნით ბრძოლებში.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს: 44 კგ. ბორის მანჯავიძემ, 46. ჯამბულ ვახანიამ. 48. გოჩა ლომთათიძემ (სამივე — ხობი), 50. კობა გულბანმა (ზუგდიდი), 52. გოჩა რუსიამ, 54. იუზა ფილიამ (ორივე — ხობი) 57. გია წიკლაურმა (თელავი), 60. ვალერი ცხადაძემ (ხობი), 63. დავით ავაზნელმა (გორი), 66. ვანო კვეზერელმა (გურჯაანი), 70. მილერ ნამიჩეიშვილმა (ვანი), 85. ვეფხია გოგავამ (საჩხერე), +85. გიორგი თანდიაშვილმა (ხობი — თელავი).

# საკავშირო პრესის ფურცლებზე

**ქართველი** სპორტული ჟურნალისტები სულ უფრო და უფრო ხშირად ჩნდებიან საკავშირო პრესის ფურცლებზე. აბა, მათზე უკეთ ვინ უამბობს საკავშირო მკითხველს ჩვენს რესპუბლიკაში მომხდარ მოვლენებზე. სულ ახლახან „64-შახმატნოე ობოზრენიეში" დაიბეჭდა გიგლა გობეჩიას წერილი „დღისითაც და ღამითაც". მართალია, ეს წერილი არავითარ სპორტულ მოვლენებს არ იხილავს, სამაგიეროდ სიყვარულით იგონებს ცნობილ ქართველ მწერალს, ლენინური პრემიის ლაურეატ ნოდარ დუმბაძეს. ავტორი საინტერესოდ გადმოგვცემს ნოდარ დუმბაძის დამოკიდებულებას ჭადრაკთან, ცოცხლად ასახავს მის საჭადრაკო „პერიპეტიებს". აი, ერთ-ერთი მათგანიც:

„საჭადრაკო დაფასთან ნოდარ დუმბაძის მუდმივი მეტოქე იყო ნოდარ მალაზონია. ამ მიკრომატჩებში წაგებას ორივე ძალიან მტკივნეულად განიცდიდა, რადგან ორივემ კარგად იცოდა, რომ მეტოქე მეორე




დღესვე მთელ ქვეყანას გააგებინებდა თავის წარმატებას. ამიტომაც ორივე ცდილობდა ბოლომდე პრინციპული ყოფილიყო და მეტოქისთვის არავითარი შეღავათი არ მიეცა. „ერთხელ, ერთ მეტად მნიშვნელოვან პარტიაში, — იგონებს ნოდარ მალაზონია, — ხელი წავატანე თუ არა ფიგურას, მაშინვე მივხვდი, რომ სვლის შედეგად ლაზიერს ვკარგავდი. ფიგურას ხელი გავუშვი და, ვითომც აქ არაფერი, ფიქრი განვაგრძე. ნოდარმა ჩუმად მითხრა, ეტლით ითამაშეო, გავუძალიანდი, დავიწყე ფიცი, ხელი არ მიმიკარებიამეთქი, მაგრამ ვინ დაგიჯერა. ხვეწნამ რომ არ გაჭრა, სხვანაირად შევუტიე: მის რომანში „მე ვხედავ მზეს" არის ასეთი ადგილი: ხატია და სოსოია 1937 წელს დაჭერილი მამის ქურქისა და ჩექმების სიმინდზე გასაცვლელად ნაბეღლავში მიდიან. მერე ბაბილო ვაშაყმაძე ბავშვებს ორ ბათმან სიმინდს მისცემს ქურქისა და ჩექმების სანაცვლოდ. დილით კი ნივთებს ისევ უკან დაუბრუნებს და ფაქტიურად ასე აჩუქებს სიმინდს, გავახსენე ეს ადგილი და ვუთხარი, ის ხომ იყო კარგი? შენ ჩემთვის რომ ახლა ამ გაჭირვებული დედოფლის დაბრუნება გენანება, შენი ნაქები ჰუმანიზმი სად არის-მეთქი? ნოდარს თავიც არ აუწევია, ისე მითხრა — იმდენი არ აუდგა გვერდები ბაბილო ვაშაყმაძეს, რამდენი იმას ჩემთვის ის ქურქი და ჩექმები უკან არ დაებრუნებინოს... მოკლედ, ნოდარმა „გაწირა" თავისი ჰუმანიზმი და სვლა მაინც გამაკეთებინა.."

„სპორტპროგნოზი", მე-5 ტირაჟის პროგრამა (2-4 თებერვალი)

ნხლ-ს ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში

| | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| 1. „დეტროიტ რედ უინგზი" — „ტორონტო მეიპლ ლიფსი" | 2.II | 40 | 20 | 40 |
| 2. „ვინიპეგ ჯეტსი" — „ვანკუვერ კენაქსი" | 2.II | 50 | 10 | 40 |
| 3. „მონრეალ კანადიენსი" — „ბუფალო სეიბრზი" | 3.II | 60 | 10 | 30 |
| 4. „ფილადელფია ფლაიერზი" — „მინესოტა ნორთ სტარსი" | 3.II | 80 | 10 | 10 |
| 5. „სენტ-ლუის ბლიუზი" — „დეტროიტ რედ უინგზი" | 3.II | 60 | 10 | 30 |
| 6. „ლოს-ანჯელეს კინგსი" — „კალგარი ფლეიმსი" | 3.II | 20 | 10 | 70 |
| **იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | |
| 7. „გენუა" (გენუა) — „ბოლონია" (ბოლონია) | 4.II | 30 | 50 | 20 |
| 8. „ლაციო" (რომი) — „ვერონა" (ვერონა) | 4.II | 40 | 50 | 10 |
| 9. „ბარი" (ბარი) — „იუვენტუსი" (ტურინი) | 4.II | 10 | 50 | 40 |
| 10. „უდინეზე" (უდინე) — „ლეჩე" (ლეჩე) | 4.II | 30 | 60 | 10 |
| 11. „ფიორენტინა" (ფლორენცია) — „მილანი" (მილანი) | 4.II | 20 | 70 | 10 |
| 12. „ჩეზენა" (ჩეზენა) — „რომა" (რომი) | 4.II | 10 | 20 | 70 |
| 13. „ატალანტა" (ბერგამო) — „სამპდორია" (გენუა) | 4.II | 50 | 20 | 30 |

**შენიშვნა:** ნხლ-ს ჩემპიონატში მასპინძლები მითითებული არიან წყვილში პირველად, ამ მატჩების შედეგები კი განისაზღვრება საბოლოო შედეგის მიხედვით.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჭიჭინაძე

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს პროფესორ-მასწავლებელთა შემდეგ თანამდებობაზე:

**საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრაზე**

კათედრის დოცენტი — 1 ერთეული, მეცნიერების კანდიდატი, თანამედროვე სოციალიზმის თეორიული პრობლემების საგანში.

**ანატომიის კათედრაზე**

კათედრის დოცენტი — 1 ერთეული, მეცნიერების კანდიდატი,

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი №49, ტელ: 23-09-02.

ინდექსი 66485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 20. უე 00351